დახურულ კონკურში მონაწილეთა საყურადღებოდ!

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული **დახურული კონკურსის** შემდგომი ეტაპი (ზეპირი დავალება/გასაუბრება) გაიმართება **2019 წლის 29 ნოემბერს, 10:00 საათზე.** კონკურსანტი რეგისტრაციის გასავლელად უნდა გამოცხადდეს **09:30 სთ-დან 10:00 სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა N25 (მეორე სართული, ბრიფინგ-რუმი)**.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად **ღია კონკურსის** მეორე ეტაპი (ტესტირება/წერითი დავალება) გაიმართება 2019 წლის 03 დეკემბრიდან და 06 დეკემბრის ჩათვლით.

კონკურსანტი რეგისტრაციის გასავლელად, უნდა გამოცხადდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა N8 (მეორე სართული, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის შენობა - საკონტაქტო პირი: ვლადიმერ კვაჭანტირაძე - 599 082 082)**. ტესტირების გრაფიკი იხილეთ **დანართი 5** -ში.

კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან/და პირადობის მოწმობა ან/და მართვის მოწმობა). პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის გარეშე პირი ზეპირი დავალება/გასაუბრებაზე არ დაიშვება. კონკურსანტი, რომელიც გრაფიკით დადგენილ დროში არ გაივლის რეგისტრაციას, ზეპირი დავალება/გასაუბრებაზე არ დაიშვება. გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.